საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №63
2023 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 9^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

1.	**220/380 ვოლტი:**		
ა)	2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე:		
ა.ა)	მცირე საწარმოებისთვის	-	10.118 თეთრი/კვტსთ;
ა.ბ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-ის ჩათვლით	-	8.118 თეთრი/კვტსთ;
ა.გ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით:	-	10.118 თეთრი/კვტსთ;
ა.დ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 301 კვტსთ-დან და მეტი	-	11.962 თეთრი/კვტსთ;
ა.ე)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები, გარდა მცირე საწარმოებისა	-	10.118 თეთრი/კვტსთ;
2.	**3,3-6-10 კილოვოლტი:**		
ა)	2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე:		
ა.ა)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	4.398 თეთრი/კვტსთ;
ა.ბ)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	4.398 თეთრი/კვტსთ;
3.	**35-110 კილოვოლტი:**		
ა)	2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე:		

ა.ა)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	2.350 თეთრი/კვტსთ;

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**